იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატის წლიური ანგარიში

2022

2022 წელი

თბილისი

მინისტრის აპარატის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატის (შემდეგში - მინისტრის აპარატი) სამოქმედო გეგმა, შემუშავდა საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის №885 განკარგულებით დამტკიცებული „ჩართულობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმისა“ (შემდეგში- „ჩართულობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმა“) და „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით განსაზღვრული პრიორიტეტების გათვალისწინებით.
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონდებლობით მინისტრის აპარატი შექმნილია სამართალშემოქმედების, ადამიანის უფლებათა დაცვის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საარქივო საქმის უზრუნველყოფის, საზოგადოების მართლშეგნების ამაღლებისა და „ჩართულობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმით“ განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების ფარგლებში, აფხაზეთის გახლეჩილი საზოგადოების წევრებს შორის ნდობის აღდგენის, მათი შერიგებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის მიზნით.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მინისტრის აპარატის ძირითად და პრიორიტეტულ მიმართულებებს წარმოადგენს სამართალშემოქმედება, ადამიანის უფლებათა დაცვა, სამოქალაქო ინტეგრაცია და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის არქივის წარმოება.

სამართალშემოქმედება

მინისტრის აპარატი, როგორც სამართალშემოქმედებითი საქმიანობის განმახორციელებელი და მაკოორდინირებელი დაწესებულება, აქტიურად არის ჩართული სამართალშემოქმედებითი საქმიანობის განხორციელების პროცესში.

მინისტრის აპარატი სამართალშემოქმედების მიმართულებით, ახორციელებს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების პროექტების სამართლებრივ ექსპერტიზას, რაც გულისხმობს, სამართლებრივი აქტების პროექტების შესაბამისობის დადგენას საქართველოსა და აფხაზეთის კანონმდებლობასთან. საგულისხმოა, რომ ამ მიმართულებით, კანონმდებლობით გათვალისწინებული შეთანხმებისა და სამართლებრივი ექსპერტიზის პროცედურები განხორციელდა 24 სამართლებრივ აქტზე. ასევე, კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე აიტვირთა და გამოქვეყნდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 18 დადგენილება და მინისტრის 6 ბრძანება.

სამართალშემოქმედების მიმართულებით ასევე აღსანიშნავია, რომ 2022 წელს მომზადდა 5 (ხუთი) ნორმატიული აქტის პროექტი:

1. „იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის თანამდებობის შემოღების, იუსტიციისა და სამოქალაქო

ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2014 წლის 17 ნოემბრის №56 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილების პროექტი;

2. „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტი;
3. ,,აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრები - პირადობის ნეიტრალური მოწმობისა და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მიღებაზე უფლებამოსილი პირების ფოტოიდენტურობის დადასტურებისა და საცხოვრებელი ადგილის დადგენის წესის დამტკიცების თაობაზე“ აფხაზეთის მთავრობის 2011 წლის 24 ოქტომბრის №11 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილების პროექტი;
4. „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ორგანული კანონის პროექტი;
5. ,,საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული უძრავი ქონების დეკლარირებისა და აღრიცხვის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 6 აგვისტოს №400 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი.

„აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობასა და ინტეგრაციისა და სოლიდარობის ფონდ „FINSOL”ს შორის 2018 წლის 13 მარტს გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად „ესპანეთში აფხაზეთიდან დევნილი ბავშვების გაგზავნის შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2018 წლის 12 აპრილის N52 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2022 წლის 30 მაისის N50 ბრძანების თანახმად, მინისტრის აპარატს დაევალა ესპანეთში, აფხაზეთიდან დევნილი ბავშვების გაგზავნასთან დაკავშირებული პროცესების სამართლებრივი უზრუნველყოფა და საორგანიზაციო საკითხების ორგანიზება. მინისტრის აპარატის მიერ განხორციელდა ორივე ეტაპის ბენეფიციართა სრული დოკუმენტაციის განხილვა, სახელშეკრულებო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა, აპოსტილით დამოწმების, თარგმნისა და თარგმანის დამოწმების ორგანიზება. სსიპ - სახელწმიფო სერვისების განვითარების სააგენტოს აპოსტილით დამოწმების, ესპანურ ენაზე თარგმნისა და თარგმანის დამოწმების მოთხოვნით წარედგინა სრული დოკუმენტაცია.

ასევე, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2022 წლის 31 ოქტომბრის სხდომის ოქმის შესაბამისად, მინისტრის აპარატს დაევალა ინტეგრაციისა და სოლიდარობის ფონდთან „FINSOL“ ახალი თანამშრომლობის ხელშეკრულების პირობებზე მოლაპარაკება და სამართლებრივი ქმედებების განხორციელება. მინისტრის აპარატის მიერ უზრუნველყოფილ იქნა ესპანურ მხარესთან კომუნიკაცია თანამშრომლობის ხელშეკრულების ახალ პირობებთან დაკავშირებით და ხელშეკრულების საბოლოო პირობებზე შეთანხმება. ასევე

თანამშრომლობის ხელშეკრულების ესპანური ენიდან ქართულ ენაზე თარგმნისა და შესაბამისი წესით დამოწმების უზრუნველყოფა. აღსანიშნავია, რომ ქ. მადრიდში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარისა და იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში დევნილი ახალგაზრდების კულტურულ-საგანმანათლებლო პროექტებში ჩართვის მიზნით ესპანურ მხარესთან ხელი მოეწერა თანამშრომლობის ხელშეკრულებას.

მინისტრის აპარატის საქმიანობის ფარგლებში 2022 წელს გამოიცა მინისტრის 346 (სამას ორმოცდაექვსი) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

ადამიანის უფლებათა დაცვის მიმართულებით მინისტრის აპარატის მიერ ყოველკვირეულად ხორციელდება ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. ხელისუფლების ოფიციალურ ვებ-გვერდებზე, ოკუპირებული აფხაზეთის სახალხო დამცველის ანგარიშებზე, სოციალურ ქსელებსა და უცხოენოვანი მედიის მიერ გამოქვეყნებულ მასალებზე დაყრდნობით ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მიმდინარე მოვლენებისა და ადამიანის უფლებების დარღვევის შესახებ ინფორმაციის მოძიება და დამუშავება, ისეთ თემებზე როგორებიცაა: სიცოცხლის უფლება, უკანონო დაკავებები და არასათანადო მოპყრობა, გადაადგილების თავისუფლება, პასპორტიზაცია, საკუთრების უფლება, მშობლიურ (ქართულ) ენაზე განათლების მიღების უფლება, ქალთა უფლებები, ბავშვთა უფლებები, ჯანმრთელობის დაცვის უფლება, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები. აღნიშნული ინფორმაციის მოძიებისა და დამუშავების შემდეგ, მინისტრის აპარატის მიერ მომზადდა კონფერენცია თემაზე „ოკუპირებულ აფხაზეთში ლეგიტიმურად მცხოვრებ პირთა უფლებრივი მდგომარეობა“.

აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები და აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის უფლებები მოიცავს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მათთვის უფასო სამართლებრივი ხასიათის კონსულტაციების გაწევას. სამართლებრივი კონსულტაცია, როგორც სატელეფონო საშუალებით, ასევე შეხვედრის შედეგად გაეწია 224 (ორას ოცდაოთხი) პირს სხვადასხვა საკითხზე, მათ შორის:

ა) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრები პირებისთვის პირადობის ნეიტრალური მოწმობისა და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მიღებასთან დაკავშირებით;
ბ) დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის საკითხებთან დაკავშირებით;
გ) მოქალაქეობის მიღების საკითხებთან დაკავშირებით;
დ) აფხაზეთის ომში გარდაცვალების ფაქტთან დაკავშირებით ცნობის გაცემის საკითხზე;
ე) სხვა სამართლებრივ საკითხებზე.

მინისტრის აპარატის მიერ მოძიებულ და დამუშავებულ იქნა ინფორმაცია აფხაზეთის დე ფაქტო კანონმდებლობასთან დაკავშირებით, კერძოდ, აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკასა და რუსეთის ფედერაციას შორის „აფხაზეთის რესპუბლიკის კანონმდებლობისა და რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობის ჰარმონიზაციის საფუძველზე, ერთიანი სოციალურ-

ეკონომიკური სივრცის ფორმირების პროგრამის“ დამტკიცებით წარმოშობილ საფრთხეებზე, რომლებიც უკავშირდება აფხაზეთის დე ფაქტო კანონმდებლობის რუსეთის კანონმდებლობასთან სრულ შესაბამისობაში მოყვანას.

აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრები პირებისათვის პირადობის ნეიტრალური მოწმობის გაცემისა და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მიღების მიზნით, მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, ოკუპირებულ ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრები პირების რეგისტრაციის, პირადი ნომრის მინიჭების, ფოტოიდენტურობის დადასტურებასა და საცხოვრებელი ადგილის დადგენის საკითხებში, მონაწილეობას იღებს მინისტრის აპარატში შექმნილი შესაბამისი კომისია. აღნიშნული მიმართულებით 2022 წელს ჯამში განხილულ იქნა 72 განაცხადი, რომელთაგან 58 დაკმაყოფილდა.

მინისტრის აპარატის ინიციატივის გათვალისწინებით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან ეფექტური თანამშრომლობის შედეგად, მყისიერად გადაიჭრა სოფელ რუხში (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი) ნოტარიუსის დანიშვნის საკითხი. „იმ დასახლებათა (მათ შორის, მაღალმთიან დასახლებათა) ნუსხის განსაზღვრის შესახებ, სადაც 2022 წელს სანოტარო მომსახურება სათანადოდ ხელმისაწვდომი არ არის“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2022 წლის 1 თებერვლის №805 ბრძანებით დაემატა სოფელი რუხი, სადაც სანოტარო ბიურო 2022 წლის 12 ოქტომბრიდან ფუნქციონირებს.

მინისტრის აპარატის მიერ შესაბამისი სფეროს ექსპერტებთან თანამშრომლობით, შეიქმნა იძულებით გადაადგილებულ პირთა სპეციფიკური ადამიანის უფლებების საჭიროებების სამართლებრივი გზამკვლევი. გზამკვლევის მიზანი გახლავთ, გააანალიზოს იძულებით გადაადგილებულ პირთა სპეციალური ადამიანის უფლებების საჭიროებები და ამ მხრივ არსებული ეროვნული თუ საერთაშორისო სამართლებრივი ბაზა, ასევე დაეხმაროს იძულებით გადაადგილებულ პირებს საქართველოში, მიიღონ მეტი ინფორმაცია თავიანთი განსაკუთრებული ადამიანის უფლებების საჭიროებებისა და ამ უფლებების დაცვის მექანიზმების შესახებ. გზამკვლევი შეიცავს ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ რომელ ორგანოებს შეიძლება მიმართოს იძულებით გადაადგილებულმა პირმა დევნილთა უფლებების დაცვის სფეროში, ამასთან, გზამკვლევი ამომწურავად მიაწვდის ინფორმაციას იძულებით გადაადგილებულ პირებს სოციალური სერვისებით სარგებლობასთან დაკავშირებით.

სამშვიდობო პოლიტიკა და სამოქალაქო ინტეგრაცია

მინისტრის აპარატის მიერ 2022 წელს სხვადასხვა მიმართულებით განხორციელდა პროექტები და ღონისძიებები შემდეგი პროგრამის და ქვეპროგრამების ფარგლებში:

- **პროგრამა „სამშვიდობო ინიციატივები, სამოქალაქო ინტეგრაცია, ნდობის აღდგენის მხარდაჭერა და დიალოგისკენ მიმართული შესაძლებლობების გაძლიერება (პროგრამული კოდი 19 02)**

- ქვეპროგრამა **,,სამშვიდობო რესურსი - ქართულ-აფხაზური ურთიერთობების მხარდაჭერა“ (პროგრამული კოდი -19 02 01)**
- ქვეპროგრამა **,,მშვიდობის ლაბორატორია“ (პროგრამული კოდი 19 02 03)**
- ქვეპროგრამა **,,სამოქალაქო ინტეგრაციის მხარდაჭერა“ (პროგრამული კოდი -19 02 11)**
- ქვეპროგრამა **,,დიასპორა და დევნილ ემიგრანტთა მხარდაჭერა“ (პროგრამული კოდი -19 02 12)**

ქვეპროგრამა **,,სამშვიდობო რესურსი: ქართულ - აფხაზური ურთიერთობების მხარდაჭერა“**

- **,,ციფრული დიპლომატია“** - პროექტი ა(ა)იპ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საინფორმაციო-ანალიტიკურ ცენტრთან ერთად განხორციელდა ღონისძიება, რომლის მიზანი იყო ციფრული დიპლომატიის მეშვეობით ქართულ-აფხაზური საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდა. ღონისძიება ითვალისწინებდა ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები 10-მდე ქართველი და აფხაზი ახალგაზრდის სწავლება-გადამზადებას, თანამედროვე მედია ტექნოლოგიების მიმართულებით, ასევე ციფრული მედიისთვის საჭირო აღჭურვილობის შეძენას და მათი საშუალებით სამშვიდობო პროექტების განხორციელებას.
- ,,**აფხაზური ისტორიის სახლში ეთნოგრაფიული სივრცის საზეიმო გახსნა“** - პროექტი ითვალისწინებდა მინისტრის აპარატის მიერ ქ. თბილისში მშენებარე ილორის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის ტერიტორიაზე აშენებულ ,,აფხაზური ოდის ტიპის ხის სახლში“ ერთიანი ქართულ-აფხაზური ეთნოგრაფიული სივრცის მოწყობას და პრეზენტაციას.

- **,,მშვიდობის ფორმულა“** -პროექტი განხორციელდა ა(ა)იპ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საინფორმაციო-ანალიტიკურ ცენტრთან ერთად და ითვალისწინებდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ დაგეგმილი პროექტების პრეზენტაციას, საქართველოში აკრედიტირებული დიპლომატებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობის გაზრდას ქართულ-აფხაზური დიალოგის მხარდასაჭერად.

- **„აფხაზეთობა 2022”** - პროექტი მიზანი იყო ქართულ-აფხაზური საერთო ტრადიციების, ისტორიისა და კულტურის პოპულარიზაცია, აფხაზეთიდან დევნილი საზოგადოების, აფხაზეთის თემატიკით დაინტერესებული სამთავრობო, არასამთავრობო, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დიპლომატებისთვის სხვადასხვა ღონისძიების გამართვა, აფხაზეთობის დღის მილოცვა და სამახსოვრო საჩუქრების გადაცემა.

- **„ლიდერები მშვიდობის მშენებლობისთვის“** - პროექტი ითვალისწინებდა აფხაზი და ქართველი ახალგაზრდების შეხვედრას და ტრენინგებში მონაწილეობას ქალაქ სტამბოლში (თურქეთი). პროექტის ფარგლებში მონაწილეებმა მრგვალი მაგიდის გარშემო ერთმანეთს გაუზიარეს კონფლიქტის რეგიონში არსებული პრობლემები და ერთობლივად დასახეს

სამომავლო საქმიანობის გეგმები. ასევე, გაიმართა კულტურული საღამო და მოეწყო კულტურული ტური, რომლის ფარგლებში პროექტის მონაწილეებს საშუალება ჰქონდათ მოენახულებინათ სტამბოლის ისტორიული და კულტურული ადგილები. ქართულ-აფხაზური შეხვედრის პარალელურად, გაიმართა გიორგი აფხაზის შემოქმედების ვირტუალური გამოფენა.

- **„მეგრულ-აფხაზური სახლი „აბაყა“** - პროექტი ითვალისწინებდა მინისტრის აპარატისა და ა(ა)იპ ემიგრანტთა ბაღის "ფესვები" თანამშრომლობით, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში, კერძოდ, ზუგდიდში ემიგრანტთა ბაღის სივრცეში, მეგრულ - აფხაზური სახლის "აბაყა" გახსნასა და კეთილმოწყობას დეკორატიული მცენარეებით, სახლის წინ ხალხურ საკრავთა (აფხიარცა, ჩონგური, ჭუნირი და სხვა) გამოფენას, შემეცნებითი ხასიათის მეგრულ-ლაზურ-სვანურ-აფხაზური პოეზიისა და ფოლკლორის ფესტივალის მოწყობას.
- **„დევნილთა მოსაზრებებისა და ინიციატივების მობილიზება“** - სადისკუსიო შეხვედრა ითვალისწინებდა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, საქართველოში მოქმედ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან და აკადემიურ სექტორთან ორდღიან სადისკუსიო შეხვედრას. შეხვედრის მიზანი იყო დევნილთა მოსაზრებებისა და ინიციატივების მობილიზება. შეხვედრაზე განხილულ იქნა ისეთი აქტუალური საკითხები, როგორიცაა აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიიდან დევნილთა პრობლემები, საჭიროებები და ინიციატივები, გაიმართა მსჯელობა სამთავრობო და არასამთავრობო სექტორის ერთობლივ ჩართულობაზე სამშვიდობო პოლიტიკის მიმართულებით.

- **,,იძულებით გადაადგილებულ პირთა სპეციფიკური ადამიანის უფლებების საჭიროებების სამართლებრივი გზამკვლევის პრეზენტაცია**“ - პროექტი ითვალისწინებდა შესაბამისი სამთავრობო უწყებების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და დარგის სპეციალისტების ჩართულობით გზამკვლევის შინაარსის განხილვას, დამატებითი შენიშვნებისა და შესწორებების შეტანას (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და გზამკვლევის საბოლოო ვერსიის ჩამოყალიბებას.
- **,,აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ მოზარდთა და ახალგაზრდათა შემეცნებით საგანმანათლებლო ბანაკი“** - პროექტი ითვალისწინებდა არაფორმალურ გარემოში შემეცნებით-სპორტულ აქტივობებს.

ქვეპროგრამა ,,მშვიდობის ლაბორატორია”

- **„გიორგი აფხაზის მოღვაწეობასთან დაკავშირებული დოკუმენტური მასალების თარგმნა აფხაზურ ენაზე“** - მიმდინარე წელს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე, მინისტრის აპარატის მიერ ა(ა)იპ ,,გოალაიზთან“ პარტნიორობით განხორციელდა პროექტის ,,გიორგი აფხაზის ვირტუალური გამოფენა'' ნაწილის თარგმნა აფხაზურ ენაზე.

- **„ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭო“** - პროექტი ითვალისწინებდა მინისტრის აპარატის ბაზაზე სამშვიდობო პოლიტიკისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხების მიმართულებით ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს შექმნას, წევრების შერჩევას ღია კონკურსის წესით და მათთვის ტრენინგების ჩატარებას.

- **„დევნილი ახალგაზრდების ჩართულობის გაძლიერება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის პროგრამებში“** - პროექტი ითვალისწინებდა ორდღიან შეხვედრას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლების, მინისტრების, იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს წევრების და დევნილი ახალგაზრდების მონაწილეობით.

- **ცნობადობის ამაღლების (awareness raising) პროგრამა: „ევროკავშირის ინსტიტუციონალური მოწყობა, ევროკავშირის გადაწყვეტილების მიღების პროცედურები და ევროკავშირის ინსტიტუტების როლი ამ პროცესში“** - პროექტი მინისტრის აპარატის მხარდაჭერით, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და მისდამი დაქვემდებარებული უწყებების თანამშრომელთათვის სამხრეთ კავკასიაში ევროპის საჯარო სამართლის ორგანიზაციის რეგიონულ წარმომადგენლობასთან ერთად განხორციელდა, რომელიც ითვალისწინებდა ქართულ და ინგლისურ ენებზე საინფორმაციო შეხვედრებს, სალექციო კურსს და ტესტირებას.
- **პანელური დისკუსიები თემაზე „ჰიბრიდული ომი და ახალგაზრდების ჩართულობა სამშვიდობო პროცესებში“** - პროექტი ითვალისწინებდა ორ პანელურ სესიას („დეზინფორმაცია და ყალბი ამბები ოკუპირებულ აფხაზეთში“, „ჰიბრიდული ომი და ახალგაზრდების როლი სამშვიდობო პროცესებში“), დისკუსიების დროს გამოკვეთილი მიგნებების მიხედვით საერთო სარეკომენდაციო დოკუმენტის შემუშავებას.
- **საერთაშორისო კონფერენცია თემაზე „ოკუპირებულ აფხაზეთში ლეგიტიმურად მცხოვრებ პირთა უფლებრივი მდგომარეობა“** - პროექტი ითვალისწინებდა ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე ადამიანის უფლებათა დარღვევის პრევენციის, ინტეგრაციისა და ნდობის აღდგენის მიმართულებით დევნილ ქალთა როლის გაძლიერების, სამშვიდობო პროცესებში ახალგაზრდების ჩართულობის მნიშვნელობის შესახებ საზოგადოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ინფორმირებულობის გაზრდას.
- **„გიორგი აფხაზის ვირტუალური გამოფენის პრეზენტაცია“** - პროექტი მინისტრის აპარატის ორგანიზებით განხორციელდა და ითვალისწინებდა ვირტუალურ ტურს ქართულ, აფხაზურ და ინგლისურ ენებზე, ქართულენოვანი ანიმაციის შექმნას, გიორგი აფხაზის სახელობის სტიპენდიის დაწესების დაანონსებას, რომის ოპერის არქივში დაცული გიორგი აფხაზის ნამუშევრების (გრაფიკული დიზაინი, სასცენო ესკიზები) გამოფენას.
- **„სუფთა გარემო-ჯანსაღი ცხოვრება“** - ერთობლივი პროექტი მინისტრის აპარატის და სსიპ „კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტო“-ს მიერ განხორციელდა და ითვალისწინებდა როგორც სპორტულ-შემეცნებით, სათავგადასავლო-საგანმანათლებლო აქტივობებს, ისე 40 ახალგაზრდის მონაწილეობით ლაშქრობას მზოვრეთში, ძამას ხეობაში.

- **„ფერწერა აფხაზეთიდან“** - ერთობლივი პროექტი მინისტრის აპარატმა სსიპ „კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტო“-სთან ერთად განახორციელა, პროექტის ფარგლებში გამოცხადდა კონკურსი, რომლის შედეგად შეირჩა 13 წლიდან 16 წლამდე 11 აფხაზეთიდან დევნილი ახალგაზრდა, რომლებმაც გაიარეს გრაფიტით ხატვის კურსი.
- **„სუფთა გარემო-ჯანსაღი ცხოვრება“** - პროექტი, რომლის მიზანი იყო მოხალისეობრივი საქმიანობისა და ახალგაზრდული ინიციატივების ხელშეწყობა, ახალგაზრდებში ისეთი უნარების განვითარების მხარდაჭერა, როგორიცაა, გუნდურობა, ლიდერობა, კრეატიული აზროვნება, მენეჯერული უნარები და სხვა, ახალგაზრდებში სკაუტინგისა და ბუნებასთან მეგობრული თანაცხოვრების პოპულარიზაცია.
- **„ევროკავშირის თემაზე პირველი აფხაზურენოვანი სახელმძღვანელოს - „შვიდი ნაბიჯი ევროკავშირის გასააზრებლად“ აფხაზურენოვანი თარგმანის პრეზენტაცია და ცნობიერების ამაღლების პროგრამის - „ევროკავშირის ინსტიტუციონალური მოწყობა; ევროკავშირის გადაწყვეტილების მიღების მექანიზმი და ევროკავშირის ინსტიტუტების როლი გადაწყვეტილების მიღების პროცედურებში“ მონაწილეთათვის კომპეტენციის სერტიფიკატების გადაცემა“** - პროექტი მინისტრის აპარატის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სამხრეთ კავკასიაში ევროპის საჯარო სამართლის ორგანიზაციის რეგიონული წარმომადგენლობის ორგანიზებით გაიმართა. (სერტიფიკატი გადაეცა 26 წარმატებულ მონაწილეს). ღონისძიების მიზანი იყო აფხაზეთიდან დევნილი და ოკუპირებულ აფხაზეთში მცხოვრები მოსახლეობის ინფორმირებულობის გაზრდის ხელშეწყობა ევროპული ფასეულობების, სამშვიდობო პროცესის, ევროკავშირსა და საქართველოს შორის თანამშრომლობის და სამომავლო პერსპექტივების შესახებ.
- **„ევროპული არდადეგები“** - პროექტი მინისტრის აპარატის, სსიპ „კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტოსა“ და საგარეო საქმეთა სამინისტროს სსიპ „საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ“ მიერ 21-22 ივლისს ზუგდიდსა და დიდ ჯიხაიშში ერთობლივად განხორციელდა.პროექტი ითვალისწინებდა სემინარების ციკლს საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებზე, დისკუსიებს ისეთ მნიშვნელოვან და ფუნდამენტურ თემებზე, როგორიცაა ადამიანის უფლებები, ტოლერანტობა, ქართული კულტურისა და იდენტობის, როგორც ევროპული ოჯახის კუთვნილება. პროექტი ხელს შეუწყობს ახალგაზრდების აქტიურ მოქალაქეებად ჩამოყალიბებას, მათ ჩართულობას ქვეყნის დასავლური ინტეგრაციის პროცესში, მონაწილეობას ქვეყნის საზოგადოებრივ, ეკონომიკურ, კულტურულ თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში, შიდა ტურიზმის პოპულარიზაციას და ახალგაზრდებისთვის ინფორმაციის მიწოდებას ქვეყნის ტურისტული პოტენციალისა და სხვადასხვა რეგიონის/მუნიციპალიტეტის ღირსშესანიშნაობების შესახებ.
- **„ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვა და დახმარება სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში“** - პროექტი მინისტრის აპარატის მხარდაჭერით ა(ა)იპ ასოციაციამ „მერკური“ განახორციელა. პროექტი ითვალისწინებდა სამეგრელო-ზემო სვანეთში და აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიიდან დევნილ და ადგილობრივ ოჯახში ძალადობის მსხვერპლ

ქალთა და მათი ოჯახის წევრების გადაუდებელი და პოსტ-კრიზისული საჭიროებების დაკმაყოფილების ხელშეწყობას სოციალური სერვისების მიწოდების გზით.

- **,,ჩვენი დროის მშვიდობისმყოფელები“** - პროექტი საქართველოს წმინდა ნინოს სახელობის მართლმადიდებლურ სკოლასთან ერთად დაიგეგმა და განხორციელდა და ითვალისწინებდა ქართველი და უკრაინელი დევნილი ბავშვების (20 ბავშვი) დამეგობრების, ასევე კონფლიქტების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით ორდღიან ტრენინგს, თემატური ფილმის ჩვენებას, მონაწილეების მიერ სამშვიდობო გზავნილების პოსტერებისა და ნახატების შექმნას და გამოფენას.

- **„აფხაზეთი, საქართველოს ერთიანი სივრცე: სტრატეგიული მიმართულებები და ახალი გამოწვევები“**- საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, რომლის ფარგლებში წარმოდგენილ იქნა აფხაზეთის თემატიკაზე საარქივო მასალებში დაცული ხელნაწერი დოკუმენტები. კონფერენციის მიზანი: ქართული და აფხაზური საზოგადოებების სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების და კონფლიქტების პრევენციის მიმართულებით აქტივობების ხელშეწყობა, შერიგების, ნდობის მშენებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესებში აკადემიური პერსონალის, სამოქალაქო სექტორის, სამთავრობო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების როლის გააქტიურება, ასევე აფხაზეთის, როგორც საქართველოს განუყოფელი ნაწილის წარსულის, აწმყოს, მომავლის პერსპექტივებისა და ახალი გამოწვევების ანალიზი.

ქვეპროგრამა ,,სამოქალაქო ინტეგრაციის მხარდაჭერა”

- **,,ინტეგრაცია მომავლისათვის“** - მინისტრის აპარატის და ა/ო ,,ჩვენ ვარსებობთ-ხმა აფხაზეთიდან“ ერთობლივი პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა გალის ოკუპირებული ტერიტორიიდან ქ. თბილისში აბიტურიენტების ჩამოყვანასა და განთავსებას წარმატებული დევნილი ახალგაზრდების ოჯახებში, მათთვის რესოციალიზაციის პრობლემებსა და გადაჭრის გზებზე ტრენინგების განხორციელებას, გამყოფი ხაზის ორივე მხარეს მცხოვრები ახალგაზრდების გაცნობა/დაახლოების მიზნით, მათ მიერ იმ ცოდნის შეძენას და უნარ-ჩვევების გამომუშავებას, რომელიც გააააქტიურებს და უფრო ნაყოფიერს გახდის ინტეგრაციისა და სოციალიზაციის პროცესს.

- **,დევნილ მოზარდთა სამოქალაქო ჩართულობის სივრცე“** - პროექტი მინისტრის აპარატის მხარდაჭერით სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში, კერძოდ, ქ **ფოთში** მდებარე სსიპ აფხაზეთის 21-ე საჯარო სკოლის ბაზაზე მოეწყო და გაიხსნა , სადაც 2 თვის განმავლობაში, შაბათ-კვირას, მიმდინარეობდა არაფორმალური აქტივობები, შემეცნებით-საგანმანათლებლო ტრენინგები ფოთში მცხოვრები აფხაზეთიდან დევნილი 10-18 წლის ასაკის 50 ბენეფიციარებისთვის. პროექტის მონაწილეებს გადაეცათ სერთიფიკატები.

- **,,დევნილ მოზარდთა სამოქალაქო ჩართულობის სივრცე“** (წალენჯიხა/ ფოცხოეწერი) - პროექტი აღნიშნულ სივრცეში 2 თვის განმავლობაში ფუნქციონირებდა. შაბათ-კვირას მიმდინარეობდა შემეცნებით-გასართობი ტრენინგები, რომელშიც მონაწილეობას იღებდა ფოცხოეწერში მცხოვრები აფხაზეთიდან დევნილი 4-17 წლის ასაკის 54 მოზარდი. პროექტის მონაწილეებს გადაეცა სერტიფიკატი და საჩუქრები.
- **,,შვიდი ნაბიჯი ევროკავშირის გასააზრებლად აფხაზურ ენაზე“** - პროექტი მინისტრის აპარატმა ევროპის საჯარო სამართლის ორგანიზაციასთან **(European Public Law Organization-EPLO)** ერთად განახორციელა, პროექტი ითვალისწინებდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მხარდაჭერით გამოცემული დოკუმენტის ,,შვიდი ნაბიჯი ევროკავშირის გასააზრებლად“ აფხაზურ ენაზე თარგმნას.

- **„ჩართულობისა და ინტეგრაციის ახალგაზრდული საზაფხულო ბანაკი“** - პროექტი მინისტრის აპარატის მიერ ა/ო ,,საქართველოს არაფორმალური განათლების ინსტიტუტსა“ და შპს ,,კაპიტალ“-თან ერთად ბაკურიანში განხორციელდა და ითვალისწინებდა კონკურსის წესით შერჩეული აფხაზეთიდან დევნილი, სოციალურად დაუცველი 12-14 წლამდე 35 ახალგაზრდის განთავსებას საზაფხულო ბანაკში, სადაც ახალგაზრდებმა მიიღეს ინფორმაცია ისეთ აქტუალურ საკითხებზე, როგორიცაა კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების გზები, სამოქალაქო ინტეგრაცია, ევროინტეგრაცია, მულტიკულტურალიზმი და ტოლერანტობა. შემეცნებითი ტრენინგების გარდა, ბენეფიციარებისთვის მოეწყო სახალისო და სპორტულ - გუნდური აქტივობები.

- **,,რუსთავის სამოქალაქო ჩართულობის სივრცე“** - პროექტი ითვალისწინებდა ქ. რუსთავში მცხოვრები დევნილი ახალგაზრდებისათვის (11-12 კლასელები) არაფორმალური საგანმანათლებლო სივრცის შექმნას, სადაც ბენეფიციარებისთვის ჩატარდა ლექციები და ტრენინგები სხვადასხვა თემებზე, გაიმართა შემეცნებითი, გუნდური და სამაგიდო თამაშები, მოეწყო ფილმების ჩვენება და დისკუსიები.

- **,,რუსთავის სამოქალაქო ჩართულობის სივრცე“** - პროექტის მონაწილეების მხრიდან მაღალი აქტივობის შესაბამისად, იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატის ორგანიზებით ბენეფიციარებისთვის მოეწყო შემაჯამებელი ექსკურსია ქ. თელავში (ისტორიული ძეგლების და ღირსშესანიშნაობების მონახულება), როგორც აღნიშნული პროექტის დამატებითი დასკვნითი აქტივობა.

- **„ინტეგრაციისა და ჩართულობის ახალგაზრდული საზაფხულო ბანაკი“** - პროექტი მინისტრის აპარატმა შპს ,,ფანდეი ენთერთეინმენთ“-თან და წმინდა ,,ნაზარ ლეჟავას სახელობის ფონდთან“ პარტნიორობით ბაკურიანში განახორციელა. პროექტი ითვალისწინებდა კონკურსის წესით შერჩეული 10-14 წლის ასაკის აფხაზეთიდან დევნილი და არადევნილი, შშმ პირების დედმამიშვილებისა და სოციალურად დაუცველი 40 ახალგაზრდის საზაფხულო ბანაკში განთავსებას, მონაწილეებისთვის შემეცნებით ტრენინგებს (თემებზე: ინტეგრაცია, მულტიკულტურალიზმი, მრავალფეროვნება,

განსხვავებულობა და მიმღებლობა, პიროვნული განვითარება, თვითგანვითარება, ბავშვთა უფლებები და კონფლიქტები), სახალისო, სპორტულ და გუნდურ აქტივობებს, სიმულაციურ თამაშებს, ფორუმ თეატრებს, სამაგიდე და ინტელექტუალურ თამაშებს.

- **,,დევნილ მოზარდთა სამოქალაქო ჩართულობის სივრცე"** (სამეგრელო-ზემო სვანეთი) - პროექტი განხორციელდა ქ. **ზუგდიდში** მცხოვრები 14-17 წლის ასაკის 70 დევნილი მოზარდისთვის. 2 თვის განმავლობაში შაბათ-კვირას, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში, ზემოთხსენებული ბენეფიციარებისთვის ჩატარდა არაფორმალური აქტივობები, შემეცნებით-საგანმანათლებლო ტრენინგები.

- **ევროინტეგრაციის საკითხებთან დაკავშირებით გაიმართა სადისკუსიო ფორმატის შეხვედრა აფხაზეთიდან დევნილი და ქართულ უნივერსიტეტებში ჩარიცხული ოკუპირებულ აფხაზეთში ლეგიტიმურად მცხოვრები სტუდენტებისთვის** -შეხვედრა სსიპ სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრში, მინისტრის აპარატმა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროინტეგრაციის დეპარტამენტთან ერთად გამართა (240 მონაწილე).

- **„ინტეგრაციისა და ჩართულობის მოზარდთა და ახალგაზრდათა ბანაკი შშმ პირებისთვის" -** პროექტი ითვალისწინებდა წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე შერჩეული აფხაზეთიდან დევნილი, შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე 10-დან 16 წლის ასაკის ჩათვლით 20 მოზარდის და ახალგაზრდის ბანაკში განთავსებას მშობლის/მეურვის თანხლებით. მონაწილეებისთვის ჩატარდა შემეცნებითი ტრენინგები, სახალისო, მუსიკოთერაპიისა და ცეკვის სინთეზური აქტივობები.

ქვეპროგრამა „დიასპორა და დევნილ ემიგრანტთა მხარდაჭერა"

- **,,შეხვედრა დევნილ ემიგრანტებთან" -** ქ. ბრიუსელში (ბელგია) მინისტრის აპარატის მიერ განხორციელდა საერთაშორისო პროექტი, ღონისძიება ითვალისწინებდა ორდღიან სამუშაო შეხვედრას დევნილ დიასპორასთან. მინისტრის აპარატის მიერ დაგეგმილი დიასპორის მხარდაჭერის პროგრამისა და შესაბამის აქტივობების გაზიარებას, პრეზენტაციას თემაზე „ოკუპირებული აფხაზეთიში არსებული პრობლემები და დეზინფორმაცია", ბრიუსელის ოფიციალური პირებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მონაწილეობით მრგვალი მაგიდის მოწყობას თემებზე: ,,ევროკავშირის წევრობის მნიშვნელობა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ლეგიტიმურად მცხოვრები მოსახლეობისთვის" და ,,ადამიანის უფლებების, აფხაზური ენის, კულტურისა და ეთნოსის დაცვის საკითხები", წინასწარ შედგენილი კითხვარების მეშვეობით დიასპორული ორგანიზაციებისა და ქართველი დევნილი ემიგრანტების პრობლემების იდენტიფიცირებას, ქართულ-აფხაზური კულტურული ღონისძიების მოწყობას და ,,გიორგი აფხაზის ვირტუალური გამოფენის" პრეზენტაციას.

- **,,შეხვედრა დევნილ ემიგრანტებთან" -** საბერძნეთში, ქ. თესალონიკში, მინისტრის აპარატის ორგანიზებით განხორციელდა საერთაშორისო პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა

მინისტრის შეხვედრას თესალონიკში მცხოვრებ დევნილ ემიგრანტებთან და სალონიკის საკვირაო სკოლის წარმომადგენლებთან, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქმიანობის პრეზენტაციას, კითხვარების შევსებას დიასპორული ორგანიზაციებისა და ქართველი დევნილი ემიგრანტების პრობლემების იდენტიფიცირების მიზნით, პრეზენტაციას თემაზე ,,პრობლემები ოკუპირებულ აფხაზეთში და დეზინფორმაცია", ქართულ-აფხაზური კულტურული ღონისძიების ორგანიზებას და გიორგი აფხაზის ვირტუალურ გამოფენას. პროექტი ითვალისწინებს უცხოეთში მცხოვრები საქართველოს თანამემამულეების სამშობლოსთან კავშირის გაღრმავებას, მათთან კომუნიკაციის ეფექტიანი საშუალებების შექმნას, რაც თავის მხრივ გაზრდის ემიგრანტების პოტენციალის სრულად გამოყენებას და მათ აქტიურ ჩართულობას ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებსა და სამშვიდობო პროცესებში.

- **,,შეხვედრა დევნილ ემიგრანტებთან"** - ჩეხეთში, ქ. პრაღაში საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს და ჩეხეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს მხარდაჭერით, განხორციელდა საერთაშორისო პროექტი, რომლის ფარგლებში გაიმართა შეხვედრები პრაღის მერთან (მერი ონდრჟეი კოლარჟი), ქართულ დიასპორასთან, პრაღაში მოქმედ ქართული საკვირაო სკოლის წარმომადგენლებთან (რომელთაც გადაეცათ წიგნები), მოეწყო ,,გიორგი აფხაზის ვირტუალური გამოფენის" პრეზენტაცია. აფხაზეთის მთავრობისა და მინისტრის აპარატის წარმომადგენლებმა ასევე მონაწილეობა მიიღეს 2008 წლის ომისადმი მიძღვნილი საჯარო გამოფენის დახურვის ღონისძიებაში.

- **„რომის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სამრევლოს ქართული საკვირაო სკოლის "ფესვები" მხარდაჭერა"** - მინისტრის აპარატმა, რომის ქართული დიასპორის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სამრევლოს საკვირაო სკოლასთან "ფესვები" პარტნიორობით, მონაწილეობა მიიღო პროექტის განხორციელებაში. პროექტი ითვალისწინებდა რომის სამრევლოს საკვირაო სკოლის "ფესვები" უზრუნველყოფას პროექტორით და ქართული წიგნებით (22 წიგნი), რაც ხელს შეუწყობს რომში მოქმედი საკვირაო სკოლის მოსწავლეებისთვის (მათ შორის აფხაზეთიდან დევნილი ახალგაზრდებისთვის) ქართულ ენაზე განათლების მიღების შესაძლებლობას და საზღვარგარეთ ქართულ-აფხაზური კულტურული საღამოების სრულყოფილად ორგანიზებას.

- **,,შეხვედრა დევნილ ემიგრანტებთან"** - მინისტრის აპარატის ორგანიზებით და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით, ესპანეთში, ქ.მადრიდში განხორციელდა საერთაშორისო პროექტი. პროექტი ითვალისწინებდა ესპანეთში მცხოვრები აფხაზეთიდან დევნილი ემიგრანტების მხარდაჭერას და მათი პრობლემების იდენტიფიკაციას, მათი ჩართულობის გაზრდას დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლაში, ქართულ დიასპორულ ორგანიზაციებთან ურთიერთობების გაღრმავებას და ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვას, ქართული დიასპორების, როგორც სამშვიდობო რესურსის გააქტიურების ხელშეწყობას.

სხვა განხორციელებული ღონისძიებები

- მინისტრის აპარატმა ფონდთან ,,თბილისის მოზარდთა სახლი“ ერთად განახორციელა პროექტი **,,ქალთა გაძლიერების პროგრამა“**, რომლის მიზანი იყო ქალების, მათ შორის, დევნილი ქალების პროფესიული გადამზადება მათი შემდგომი დასაქმების გაადვილების, ასევე საკუთარი ბიზნესის დაწყება/მართვის მიზნით. პროექტი ითვალისწინებდა დამწყები ინგლისური ენისა და დამწყები ბუღალტერიის 7 თვიან (3.5 თვე ინგლისური ენა, 3.5 თვე-ბუღალტერია) ინტენსიურ უფასო 40 წუთიან კურსებს კვირაში 2-ჯერ. კურსი მიმდინარეობდა ონლაინ რეჟიმში Zoom-ის პლატფორმით. პროექტში ჩართული იყო 20-დან 69 წლამდე 82 ბენეფიციარი.
- მინისტრის აპარატმა გამართა **შეხვედრა არასამთავრობო ორგანიზაციების** (ნაციონალიზმისა და კონფლიქტების კვლევის ინსტიტუტი, მშვიდობისა და სამოქალაქო განვითარების ცენტრი, არასამთავრობო ორგანიზაცია ,,თანხმობა“, ასოციაცია ,,იმედი“ დევნილ ქალთა მოძრაობა მშვიდობისათვის“, კონფლიქტებისა და მოლაპარაკების საერთაშორისო ცენტრი, გაეროს ქალთა ორგანიზაცია საქართველოში (UN Women Georgia), ფრიდრიხ ებერტის ფონდი, ფონდი ,,თბილისის მოზარდთა სახლი“, ა(ა)იპ ქართველთა და აფხაზთა საზოგადოება ,, ერთობა ხვალისთვის) **წარმომადგენლებთან,** რომლებიც აქტიურად მუშაობენ კონფლიქტების დარეგულირების, ნდობის აღდგენისა და შერიგების მიმართულებით. შეხვედრაზე მონაწილეებმა განიხილეს აფხაზეთიდან დევნილი და აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრები მოსახლეობის გამოწვევები და პერსპექტივები, ერთმანეთს გაუზიარეს გამოცდილება აღნიშნული მიმართულებით, განიხილეს სამომავლო თანამშრომლობის საკითხები და დაგეგმეს ერთობლივი პროექტები, რაც ხელს შეუწყობს სამოქალაქო ინტეგრაციას, ნდობის აღდგენას და შერიგებას.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის არქივის სამმართველო

მინისტრის აპარატის საქვეუწყებო დაწესებულება - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის არქივის სამართველო მუშაობდა „ეროვნული საარქივო ფონდისა და ეროვნული არქივის შესახებ“ საქართველოს კანონით, სხვა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებითა და მინისტრის აპარატის საქვეუწყებო დაწესებულების - „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის არქივის სამმართველოს დებულებით“. შესაბამისად, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის არქივის სამმართველოს მიერ განხორციელდა შემდეგი სამუშაოები და ღონისძიებები:

საანგარიშო პერიოდში არქივის სამმართველო მუშაობდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის არქივის სამმართველოში მიღებული და დაცული მმართველობითი და პირადი შემადგენლობის დოკუმენტების არსებობისა და მდგომარეობის შემოწმებაზე. შემოწმდა გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებული 959 საქმე, შეიქმნა 260 საკატალოგე ბარათი, ელექტრონულად შეყვანილ იქნა (სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის საფუძვლები-დაბადების აქტის ჩანაწერები):

გულრიფშის რაიონი: საარქივო ფონდი №5, ანაწერი 1, საქმე 17 (ჩვიდმეტი), ფურცელთა რაოდენობა1124 (ათას ას ოცდაოთხი) და ქალაქ სოხუმის რაიონის საარქივო ფონდი №4 ანაწერი 1, საქმე 39 (ოცდაცხრამეტი), ფურცელთა რაოდენობა 1890 (ათას რვაას ოთხმოცდაათი).
სოხუმის რაიონი: საარქივო ფონდი №4, ანაწერი 1, საქმე 43 (ორმოცდასამი), ფურცელთა რაოდენობა 3239 (სამი ათას ორას ოცდაცხრამეტი).
გალის რაიონი: საარქივო ფონდი №7, ანაწერი 1, საქმე 8 (რვა), ფურცელთა რაოდენობა 303 (სამას სამი).
დაზუსტდა იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატის საქვეუწყებო დაწესებულება-აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის არქივის სამმართველოს დაკომპლექტების წყარო-დაწესებულებათა სია არქივის სამმართველოს მუდმივმოქმედი საექსპერტო კომისიის მიერ, რომელიც შემდგომ შეთანხმებულ იქნა არქივის სამმართველოს საექსპერტო-შემმოწმებელი კომისიის სხდომაზე - ოქმი №1.
საანგარიშო პერიოდში არქივის სამმართველომ საექსპერტო-შემმოწმებელი კომისიის 9 (ცხრა) სხდომა ჩაატარა.
2022 წლის სამუშაო გეგმა-გრაფიკის საფუძველზე, მიმდინარე წლის 23 მარტს იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატის საქვეუწყებო დაწესებულება -აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის არქივის სამმართველომ შეამოწმა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ,,სსიპ-აფხაზეთის ქონების განკარგვისა და საწარმოთა მართვის სააგენტოს'' საარქივო საქმისა და საქმისწარმოების მდგომარეობა, ხოლო მიმდინარე წლის 16-17 მაისს იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიული ორგანო, 7 ივნისს კი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს-საჯარო სამართლის იურიდიული პირის აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსაბლი ,,აფხაზეთი.“
შემოწმებით გამოვლინდა შემოწმებული დაწესებულებების საქმიანობის როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები.
არქივის სამმართველოს რეკომენდაციების საფუძველზე დაწესებულებებში შემუშავებულ იქნა ნორმატიული დებულებების პროექტები (საქმისწარმოების ინსტრუქცია, საექსპერტო კომისიის დებულება და საქმეთა (კრებსითი) ნომენკლატურები). ზემოაღნიშნულ დაწესებულებებს საქმისწარმოებაში დოკუმენტთა ორგანიზაციისა და საარქივო საქმის მიმართულებით, გაეწია სათანადო რეკომენდაციები და მითითებები საარქივო კანონმდებლობის შესაბამისად.
2021 წლის 29 დეკემბერის №33 დადგენილების საფუძველზე აფხაზეთის ა/რ არქივის სამმართველო აქტიურად ჩართული იყო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება – აგრარულ საკითხთა დეპარტამენტის სალიკვიდაციო კომისიის საქმიანობაში, როგორც სალიკვიდაციო კომისიის წევრი.
მიმდინარე წლის 20 აპრილის მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე მიღებულ იქნა 46 შესანახი ერთეული სახელმწიფო დაცვაზე, მათ შორის, მუდმივად შესანახი 13 (ცამეტი)

საქმე და ხანგრძლივად შესანახი 33 (ოცდაცამეტი) საქმე.
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის არქივის სამართველომ, აფხაზეთის საარქივო ფონდის დოკუმენტების შენახვა-დაცვის, გამოყენების, ეროვნული საარქივო ფონდის ფორმირების, საქმისწარმოებისა და დაწესებულებების დოკუმენტების სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავების განყოფილების მიერ მეცნიერულ -ტექნიკური დამუშავების შემდეგ, სახელმწიფო დაცვაზე მიიღო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის (მთავრობის აპარატი) მუდმივად შესანახ საქმეთა რაოდენობა 410 (ოთხას ათი)ერთეული, ანაწერი №1 (2010-2018 წ.წ.) და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის (მთავრობის აპარატი) ხანგრძლივად შესანახ საქმეთა რაოდენობა 45 (ორმოცდახუთი) ერთეული, ანაწერი №2 (2010-2018 წ.წ.), სულ- 455 (ოთხას ორმოცდათხუთმეტი) საქმე.
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის არქივის სამმართველოში საანგარიშო პერიოდში შემოვიდა 460 (ოთხას სამოცი) მოთხოვნა და შესაბამისი პასუხით გავიდა 516 (ხუთას თექვსმეტი) წერილი.
აღსანიშნავია, რომ აფხაზეთის არქივის სამმართველოს საქმიანობის განახლებისა და გაუმჯობესების მიზნით შემუშავდა არქივის სამმართველოს განახლებული კონცეფცია, რომლის თანახმად დაიგეგმა იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატის საქვეუწყებო დაწესებულება - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის არქივის სამმართველოს სერვისების ელექტრონული პლატფორმის შექმნა.
წარმოდგენილი მოდელის თანახმად გათვალისწინებულია არქივის სამმართველოს მოდელირება (ახალი დებულება, სტრუქტურა, საშტატო განრიგი, თანამშრომელთა გადამზადების გეგმა და სხვ.). ასევე, არქივის სამმართველოს განთავსება თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილ შესაბამისი სიდიდის ფართში.
„ქონების რეესტრი აფხაზეთის ტერიტორიაზე“-ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია, რომელიც გულისხმობს სსიპ „დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოში“ დაცული დოკუმენტაციის, რომელიც რამდენიმე წლის წინ განხორციელებული პროექტის „ჩემი სახლი“ ფარგლებში შეგროვდა და დამუშავდა, გადმოცემას იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის მინისტრის აპარატისთვის, მისი შემდგომი დამუშავებისა და დაარქივების მიზნით. ასევე, აფხაზეთის არქივის სამმართველოს დებულებაში შესატანი ცვლილების ფარგლებში დაგეგმილია ანალოგიური დოკუმენტაციის შექმნა/შენახვა, მონაცემების დამუშავებისა და შემდგომი სისტემატიზაციის მიზნით.
მოპოვებული მტკიცებულებები საინტერესოა აფხაზეთის ტერიტორიაზე საკუთრების უფლების საკითხის განსახილველად, ამ მიმართულებით მუშაობა უნდა გაგრძელდეს და შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენის, გამოკითხვის ოქმებისა და აუდიო ჩანაწერების (გაეროს მიერ 2005 წლის 28 ივნისს მიღებული დოკუმენტი,ე.წ.“პინეიროს პრინციპები“, 15.7) დამუშავების შედეგად დაარქივდეს ისეთი მნიშვნელოვანი ცნობები, რომლებიც მომავალში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დადგენილი საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტების შექმნით, აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებულ უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის საფუძველი გახდება, მითუმეტეს, ამის პრეცენდენტი არსებობს.